ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი
სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №2

13 იანვარი, 2017 წელი
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

ლაშა გოგია _ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

სატენდერო კომისიის წევრები

თამაზ ჟორჟოლიანი _ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
თენგიზ შანავა _ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;
ნანი მიქენაია _ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
რუსლან კილასონია _ ეკონომიკური პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი;
თენგიზ ქობალია _ მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

ბესიკ ქარდავა _ შესყიდვების სამსახურის სამშენებლო პროექტებისა და სამუშაოების შესყიდვის განყოფილების უფროსი;
კახაბერ ჯაბუა _ შესყიდვების სამსახურის საქონლისა და მომსახურების შესყიდვის განყოფილების უფროსი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით _ ექვსი წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაიშისა და ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულებში (კურორტის მონაკვეთი) საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, 2017 წლის 11 იანვარს, აუქციონის გარეშე გამოცხადებული (სატენდერო განცხადების ნომერი: NAT170000323) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

მოისმინეს: სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ლ. გოგიას ინფორმაცია. მომხსენებელმა წარმოადგინა ეკონომიკური პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2017 წლის 13 იანვრის №139-02 წერილი.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომაში მონაწილე კომისიის წევრებს გააცნო წერილის შინაარსი და წარუდგინა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაიშისა და ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულებში (კურორტის მონაკვეთი) საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის განაცხადი, შეცვლილი ღირებულებით.

სხდომის მსვლელობა: სხდომაში მონაწილე კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი წერილი, ასევე, მოისმინეს ეკონომიკური პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის (რ. კილასონიას) განმარტება შესყიდვის სავარაუდო ღირებულების კორექტირების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სატენდერო განცხადებაში მითითებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაში ცვლილების შეტანა.

კომისიამ გადაწყვიტა: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-9 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეიცვალოს, 2017 წლის 11 იანვარს, აუქციონის გარეშე გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონულ ტენდერის (სატენდერო განცხადების ნომერი NAT170000323) ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება და ნაცვლად 20000 ლარისა განისაზღვროს 13000 ლარით (დღგ-ს გათვალისწინებით).

დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს:

1. გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მიმდინარე ტენდერის სატენდერო განცხადებაში მითითებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულების კორექტირების შესახებ.
2. უზრუნველყოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება.

კომისიის წევრები:

1. ლ. გოგია (თავმჯდომარე);
2. თ. ჟორჟოლიანი;
3. თ. შანავა;
4. ნ. მიქენაია;
5. რ. კილასონია.
6. თ. ქობალია.

კომისიის აპარატის წევრები:

1. ბ. ქარდავა;
2. კ. ჯაბუა.